International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 5, Issue 2

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/NPBP1786

Disinformation Mechanisms in Hybrid Conflicts: Russian Information Operations in the Russia–Ukraine War and the Case of Georgia

David Osepashvili[a1]

[a] PhD student, Caucasus International University

ARTICLE INFO

Keywords:

Foreign information manipulation
Firehose of falsehood
Coordinated inauthentic behaviour
Synthetic media
South Caucasus

ABSTRACT

In contemporary hybrid conflicts, information influence functions as an integrated instrument alongside military and diplomatic tools, aiming to disrupt decision cycles, erode institutional trust, and fragment public discourse. This article examines recurrent mechanisms of Russian information operations in the Russia–Ukraine war (2014–present) and the case of Georgia (2008–present).

The study adopts a documentary/theoretical research design and qualitative comparative analysis. The empirical corpus draws on reports by international institutions, fact-checking outputs, and peer-reviewed scholarship, complemented by documented open-source examples. Materials were thematically coded across four analytical levels: (1) textual/linguistic manipulation; (2) visual manipulation and synthetic media; (3) narrative framing and strategic storylines; and (4) platform-based amplification and coordinated inauthentic behaviour.

Findings indicate that effectiveness stems less from isolated false claims and more from a chain of mechanisms: narrative production (delegitimisation, demonisation, victim-blaming), high-volume multi-channel repetition consistent with the "firehose of falsehood" model, amplification via trolls and automated accounts, and institutional 'laundering' that normalises manipulative messaging as ordinary political positioning. In Ukraine, these mechanisms are particularly visible in operations targeting external audiences by fuelling scepticism and 'aid fatigue', whereas in Georgia they contribute to long-term polarisation and the delegitimisation of Euro-Atlantic integration.

Countering such operations requires a multi-level resilience strategy: preventive prebunking/inoculation, credible strategic communication, institutionalised media literacy, and greater platform transparency to detect and mitigate coordinated manipulation.

[1] Corresponding author.
E-mail addresses: david.osepashvili@ciu.edu.ge (D.Osepashvili).
ORCID: https://orcid.org/0009-0002-3039-500X

დეზინფორმაციის მექანიზმები ჰიბრიდულ კონფლიქტებში: რუსეთის საინფორმაციო ოპერაციები რუსეთ-უკრაინის ომსა და საქართველოს შემთხვევაში

დავით ოსეფაშვილი [a2]

[a] დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ

საკვანძო სიტყვები:

ინფორმაციული მანიპულაცია
FIMI
„ცეცხლოვანი შლანგი“
კოორდინირებული არაავთენტური ქცევა
სამხრეთ კავკასია

აბსტრაქტი

თანამედროვე ჰიბრიდულ კონფლიქტებში ინფორმაციული ზემოქმედება ფუნქციონირებს როგორც სამხედრო და დიპლომატიურ ინსტრუმენტებთან ინტეგრირებული ძალა, რომელიც მიზნად ისახავს გადაწყვეტილების ციკლის შეფერხებას, ნდობის ეროზიას და საჯარო დისკურსის ფრაგმენტაციას. წინამდებარე სტატია იკვლევს რუსეთის მიერ წარმოებული ინფორმაციული ოპერაციების განმეორებად მექანიზმებს რუსეთ-უკრაინის ომის (2014–დღემდე) და საქართველოს (2008–დღემდე) შემთხვევებში.

გამოყენებულია დოკუმენტური/თეორიული კვლევის დიზაინი და ხარისხობრივი შედარებითი ანალიზი. ემპირიული კორპუსი მოიცავს საერთაშორისო ინსტიტუტების ანგარიშებს, ფაქტჩეკინგ ორგანიზაციებისა და აკადემიური კვლევების შედეგებს, ასევე ღია მედიაწყაროებში დოკუმენტირებულ მაგალითებს. მასალა დამუშავდა თემატური კოდირებით ოთხ დონეზე: (1) ტექსტური/ლინგვისტური მანიპულაცია; (2) ვიზუალური მანიპულაცია და სინთეზური მედია; (3) ნარატიული ჩარჩოები და სტრატეგიული სიუჟეტები; (4) პლატფორმული ამპლიფიკაცია და კოორდინირებული არაავთენტური ქცევა.

ანალიზმა გამოავლინა, რომ ეფექტი მიიღწევა არა ერთჯერადი „ყალბი ამბის“ გავრცელებით, არამედ მექანიზმების ჯაჭვით: ნარატივის წარმოება (დელეგიტიმაცია/დემონიზაცია/მსხვერპლზე გადაბრალება), შემდეგ მისი მრავალარხიანი გამეორება („firehose of falsehood“), ბოტებისა და ტროლ-ქსელების მიერ ამპლიფიკაცია, და საბოლოოდ – ინსტიტუციური „ლაუნდერინგი“, რომელიც გზავნილს თითქოს „ჩვეულებრივ“ პოლიტიკურ პოზიციად აქცევს. უკრაინის შემთხვევაში ეს მექანიზმები უფრო მკვეთრად მუშაობს გარე აუდიტორიებზე (დახმარების „დაღლის“ და სკეპტიციზმის გაძლიერება), ხოლო საქართველოში — გრძელვადიან პოლარიზაციასა და დასავლური ინტეგრაციის დისკრედიტაციაზე.

[2] ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: david.osepashvili@ciu.edu.ge (დ.ოსეფაშვილი).
ORCID: https://orcid.org/0009-0002-3039-500X

კვლევა აჩვენებს, რომ ეფექტიანი წინააღმდეგობა საჭიროებს მრავალდონიან პოლიტიკას: პრევენციულ პრებანკინგს/ინოკულაციას, სტრატეგიულ კომუნიკაციას, მედიაწიგნიერების ინსტიტუციონალიზაციას და პლატფორმულ გამჭვირვალობას კოორდინირებული მანიპულაციის გამოვლენისა და შეზღუდვისთვის.

1. შესავალი

ინფორმაციული ზემოქმედება ჰიბრიდული კონფლიქტების ცენტრალურ კომპონენტად ჩამოყალიბდა იმ გარემოში, სადაც სამხედრო ძალის გამოყენება სულ უფრო მეტად ებმის მთლიანი საზოგადოების მობილიზაციას, საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას და მოწინააღმდეგის პოლიტიკური ნების დასუსტებას. ამ კონტექსტში დეზინფორმაცია არ არის მხოლოდ „ყალბი ამბის“ გავრცელება; იგი წარმოადგენს მიზანმიმართულ მოქმედებათა კომპლექსს, რომელიც ერთდროულად მუშაობს ემოციებზე, იდენტობებზე, ინსტიტუციურ ნდობაზე და საინფორმაციო ინფრასტრუქტურაზე.

რუსეთ-უკრაინის ომმა (2014–დღემდე) და საქართველოს გამოცდილებამ (2008–დღემდე) მკაფიოდ აჩვენა, რომ საინფორმაციო ოპერაციები ხშირად აგებულია გრძელვადიანი ნარატივების გამეორებაზე, პლატფორმებზე გავრცელების ტექნოლოგიურ ოპტიმიზაციაზე და „დამაჯერებლობის“ ინსტიტუციურ მოდელირებაზე. ამავე დროს, დისკურსში ხშირად ერევა ერთმანეთში დეზინფორმაცია, შეცდომაში შემყვანი ინტერპრეტაციები და ლეგიტიმური პოლიტიკური კამათი. ამგვარი არაზუსტი განსხვავებები, ანალიზს ასუსტებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც ნაკლებად გამოყენებადს ხდის.

სტატიის მიზანია აღწერიდან ანალიტიკაზე გადასვლა: გამოვავლინოთ, როგორ მუშაობს რუსული საინფორმაციო ოპერაციების მექანიზმები, რომლებიც განმეორებადად ჩნდება უკრაინასა და საქართველოს შემთხვევებში, და რა განსხვავებებია მათი მიზნობრივი აუდიტორიების, არხებისა და შედეგების მიხედვით.

საკვლევი კითხვები ფორმულირდება შემდეგნაირად: (RQ1) რა მექანიზმების კომბინაციით იქმნება და ვრცელდება მანიპულაციური გზავნილები რუსეთ-უკრაინის ომსა და საქართველოს შემთხვევაში? (RQ2) როგორ იცვლება ამ მექანიზმების ფუნქცია სხვადასხვა

აუდიტორიაზე (შიდა/გარე) და სხვადასხვა კონტექსტში (აქტიური ომი/გრძელვადიანი დაპირისპირება)? (RQ3) რა პრაქტიკული დასკვნები გამომდინარეობს მედეგობის პოლიტიკისთვის — სტრატეგიული კომუნიკაციის, მედიაწიგნიერებისა და პლატფორმული რეგულირების დონეზე?

სტატიის წვლილი სამ მიმართულებაში იკვეთება: პირველი — შემოთავაზებულია ოთხდონიანი ანალიტიკური ჩარჩო (ტექსტი, ვიზუალი, ნარატივი, პლატფორმა), რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დეზინფორმაცია დავინახოთ, როგორც სისტემური პროცესი და არა ცალკეული „ფეიკი“. მეორე — უკრაინისა და საქართველოს შედარებითი პერსპექტივით იკვეთება, როგორ გადადის ერთი და იგივე მექანიზმი სხვადასხვა პოლიტიკურ შედეგში (მოკლევადიანი მხარდაჭერის „დაღლა“ vs. გრძელვადიანი პოლარიზაცია). მესამე — გამოკვეთილია მტკიცებულებაზე ორიენტირებული რეკომენდაციები, რომლებიც თავს არიდებს ჰიპერბოლას და ემყარება არსებულ კვლევით დისკურსს.

სტრუქტურულად სტატია შედგება ექვსი თავისგან: შესავალი; თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა; მასალები და მეთოდები; მიგნებები და ანალიზი; დისკუსია და პოლიტიკის იმპლიკაციები; დასკვნები.

2. თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა

დეზინფორმაციის კვლევა მრავალდარგობრივია და მოიცავს კომუნიკაციის, პოლიტიკური ფსიქოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პლატფორმების კვლევების მიდგომებს. საერთო შეთანხმება არსებობს, რომ დეზინფორმაცია განისაზღვრება როგორც მიზანმიმართული მცდარი ან შეცდომაში შემყვანი კონტენტის გავრცელება კონკრეტული შედეგის მისაღწევად (Wardle & Derakhshan, 2017). ამასთან, პრაქტიკაში მიზანშეწონილია უფრო ფართო კატეგორიების გამოყენება, როგორიცაა „უცხოური ინფორმაციული მანიპულაცია და ჩარევა“ (Foreign Information Manipulation and Interference – FIMI), რომელიც მოიცავს როგორც მცდარ ფაქტებს, ისე მანიპულაციურ ჩარჩოებსა და კოორდინირებულ გავრცელებას. ამ თემატიკის „ინსტიტუციურ“ განზომილებას ბენეტი და ლივინგსტონი აღწერენ როგორც „დეზინფორმაციის წესრიგს“, რომელიც არღვევს საზოგადოებრივი

კომუნიკაციის ნორმებს და ასუსტებს დემოკრატიულ ინსტიტუტებს (Bennett & Livingston, 2018). ასევე, კრემლის მიერ ინფორმაციის, კულტურისა და ფინანსური რესურსების ერთობლივი ინსტრუმენტალიზაცია გამოკვეთილია როგორც გავლენის სისტემური არხი (Pomerantsev & Weiss, 2014).

ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ახსნა მაღალი მოცულობის, მრავალარხიანი გამეორების ეფექტზე არის „firehose of falsehood" მოდელი, რომელიც აჩვენებს, რომ მიზანი ხშირად არ არის ერთი „სარწმუნო" ამბის დამკვიდრება, არამედ სიმრავლითა და სისწრაფით ინფორმაციული სივრცის გადავსება, რათა აუდიტორიას გაუჭირდეს განსხვავება ფაქტსა და ინტერპრეტაციას შორის (Paul & Matthews, 2016). აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით რელევანტურია იმ პლატფორმულ გარემოში, სადაც ალგორითმები ჩართულობას (engagement) აძლიერებს, ხოლო ემოციურად დატვირთული კონტენტი ორგანულადაც და ხელოვნურადაც მაღალ გავრცელებას აღწევს.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ნარატივების კვლევა. სტრატეგიული ნარატივები მოქმედებს როგორც „ჩარჩოები", რომლებიც აუდიტორიას სთავაზობს მიზეზშედეგობრივ სქემას: ვინ არის დამნაშავე, ვინ — მსხვერპლი და რა მოქმედებაა „გამართლებული" (Miskimmon, O'Loughlin, & Roselle, 2013). ჰიბრიდულ კონფლიქტში ნარატივი ხშირად წინ უსწრებს ფაქტებს: რეალური მოვლენები ინტერპრეტირდება წინასწარ არსებულ სიუჟეტებში (მაგ., „დასავლეთი პროვოცირებს", „ფაშიზმის აღდგენა", „რუსეთი იცავს მშვიდობას"). რუსული საინფორმაციო ეკოსისტემის ფარგლებში კონსპირაციული თეორიების გამოყენება ხშირად მოქმედებს როგორც „დიპლომატიის" რბილი ინსტრუმენტი და ნარატივების ლეგიტიმაციის მხარდამჭერი არხი (Yablokov, 2015).

მესამე მიმართულება უკავშირდება აუდიტორიის კოგნიტურ მახასიათებლებს და დეზინფორმაციისადმი მიდრეკილებას. ექსპერიმენტული კვლევები აჩვენებს, რომ დეზინფორმაციის ზემოქმედება ძლიერდება მაშინ, როდესაც კონტენტი ებმის ჯგუფურ იდენტობას, ემოციებსა და წინასწარ განწყობებს; ამასთან, პრევენციული ინოკულაცია/პრებანკინგი (ანუ მანიპულაციური ტექნიკის წინასწარი დემონსტრირება და

„იმუნიზაცია“) ზრდის რეზისტენტობას (Lewandowsky et al., 2020; Roozenbeek & van der Linden, 2019).

მეოთხე მიმართულება ეხება პლატფორმულ ეკოსისტემას. სოციალური მედიის არქიტექტურა, რეკომენდაციის სისტემები, რეკლამა, მიკრო-ტარგეტირება და ქსელური ანონიმურობა, ქმნის პირობებს კოორდინირებული არაავთენტური ქცევისთვის, როდესაც ერთი ორგანიზებული ცენტრი ქმნის მრავლობით „ხმის“ ილუზიას (Gillespie, 2018; Starbird, 2017). სწორედ აქ ჩნდება „ოპერაციის“ ტექნოლოგიური ნაწილი: ბოტ-ქსელები, ტროლ-ფერმები, ე.წ. მედიაკლონები, და მარკეტინგული ინფრასტრუქტურა, რომელიც პოლიტიკურ გზავნილს აძლიერებს. ამ გარემოში მანიპულაციური კონტენტის ამპლიფიკაცია დაკავშირებულია პლატფორმების ეკონომიკურ ლოგიკასთანაც — ყურადღებისა და მონაცემების კომერციული მოპოვება (surveillance capitalism) ქმნის სტიმულებს მაღალი ჩართულობის, ხშირად პოლარიზებული კონტენტისთვის (Zuboff, 2019).

ამ ლიტერატურის ერთ-ერთი სუსტი ადგილი არის ის, რომ კვლევები ხშირად ან ზედმეტად კონცეპტუალურია (დაზუსტებული ოპერაციონალიზაციის გარეშე), ან ზედმეტად ტექნიკურია (ნარატივების პოლიტიკური ეფექტების დაბალი გააზრებით). ასევე, შედარებითი პერსპექტივა უკრაინასა და საქართველოს შორის ხშირად ფრაგმენტულია: უკრაინის შემთხვევაში ყურადღება კონცენტრირებულია აქტიურ ომზე და საერთაშორისო მხარდაჭერაზე, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, პოლარიზაციასა და დასავლეთისადმი სკეპტიციზმის ხანგრძლივ ინერციაზე. წინამდებარე სტატიის მიზანია ამ ორის დაკავშირება ერთიან ჩარჩოში, რომელიც აჩვენებს მექანიზმების თანმიმდევრობას და შედეგების ლოგიკას.

2.1. საკვანძო ცნებების ოპერაციონალიზაცია

კვლევაში გამოყენებულია შემდეგი სამუშაო განსაზღვრებები. ინფორმაციული მანიპულაცია განისაზღვრება, როგორც ფაქტების შერჩევითი პრეზენტაცია, კონტექსტის შეცვლა ან ინტერპრეტაციული ჩარჩოების შეთავაზება ისეთი მიზნით, რომ აუდიტორიამ

მიიღოს წინასწარ სასურველი პოლიტიკური შეფასება. დეზინფორმაცია ამ კატეგორიის ქვეჯგუფია და გულისხმობს მიზანმიმართულ მცდარ ფაქტობრივ მტკიცებებს ან გაყალბებულ მასალას. კოორდინირებული არაავთენტური ქცევა ნიშნავს ქსელურ აქტივობას, რომელიც სინამდვილეში ორგანიზებულია (ერთიანი კოორდინაციით), მაგრამ აუდიტორიას სთავაზობს სპონტანური საზოგადოებრივი მხარდაჭერის ილუზიას.

ანალიზის ოთხი დონე (ტექსტი/ვიზუალი/ნარატივი/პლატფორმა) ემყარება იმ ლოგიკას, რომ ერთი და იგივე გზავნილი სხვადასხვა „მედიატორზე“ სხვადასხვა ეფექტს ახდენს: ტექსტი ქმნის შინაარსობრივ ჩარჩოს, ვიზუალი ზრდის ემოციურ ზემოქმედებას, ნარატივი აყალიბებს გრძელვადიან განმარტებით სქემას, ხოლო პლატფორმა განსაზღვრავს გავრცელების სიჩქარესა და მასშტაბს.

3. მასალები და მეთოდები

ამ თავში დეტალურად არის წარმოდგენილი კვლევის „შიდა სამზარეულო“ თუ როგორ შეირჩა მასალა, როგორ დამუშავდა და როგორ მივიღეთ ანალიტიკური დასკვნები.

კვლევა ეფუძნება დოკუმენტურ/თეორიულ დიზაინს და ხარისხობრივ შედარებით ანალიზს (qualitative comparative analysis). ემპირიული ბაზა შედგება მეორეული მონაცემებისგან: საერთაშორისო ინსტიტუტების და კვლევითი ცენტრების ანგარიშები, ფაქტჩეკინგ ორგანიზაციების სისტემატიზებული მასალა, აკადემიური სტატიები და ღია წყაროებში დოკუმენტირებული მაგალითები. მეორეული მასალის გამოყენება არჩეულია ორი მიზეზით: (ა) ინფორმაციული ოპერაციები ხშირად მიმდინარეობს დახურულ ქსელებში და პირველადი მონაცემების შეგროვება საფრთხეებსა და ეთიკურ პრობლემებს უკავშირდება; (ბ) უკვე არსებობს მაღალი ხარისხის, მრავალჯერ გადამოწმებული დოკუმენტაცია, რომელიც მექანიზმების ანალიტიკური მოდელირების საშუალებას იძლევა.

მასალის შერჩევის პრინციპები იყო: (1) წყაროს სანდოობა და გადამოწმებადობა (კრიტერიუმი: მინიმუმ ორი დამოუკიდებელი წყაროს თანხვედრა ან ინსტიტუციური ავტორიტეტი); (2) რელევანტურობა რუსეთ-უკრაინის ომსა და საქართველოს საინფორმაციო გარემოსთან; (3) მაგალითის „მექანიზმური“ სიწმინდე. შემთხვევა უნდა

ასახავდეს ოთხდონიანი ჩარჩოდან მინიმუმ ორ დონეს (მაგ., ტექსტი+ნარატივი, ვიზუალი+პლატფორმა); (4) დროითი გავრცელება. შერჩეულია მაგალითები სხვადასხვა ფაზებიდან, რათა თავიდან ავირიდოთ ერთ პერიოდზე გადაჭარბებული ფოკუსი.

ანალიზის პროცედურა მოიცავდა სამ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა კონცეპტუალური რუკირება: ლიტერატურის საფუძველზე ჩამოყალიბდა კოდირების კატეგორიები (ტექსტი, ვიზუალი, ნარატივი, პლატფორმა) და თითოეული კატეგორიის ქვეკოდები (მაგ., ტექსტში დამნაშავეობის გადაბრალება; ვიზუალში, კონტექსტის შეცვლა; ნარატივში, დელეგიტიმაცია; პლატფორმაში, ბოტური ამპლიფიკაცია). მეორე ეტაპზე მოხდა მაგალითების თემატური კოდირება და მათი დაკავშირება შესაბამის ქვეკოდებთან. მესამე ეტაპზე კი განხორციელდა შედარებითი ინტერპრეტაცია: უკრაინისა და საქართველოს მაგალითები შეჯერდა იმის დასადგენად, რა არის საერთო მექანიზმი და სად ჩნდება კონტექსტური განსხვავება.

კვლევის შეზღუდვები მნიშვნელოვანია მკითხველისთვის. პირველი: სტატია არ წარმოადგენს ახალი პირველადი მონაცემების რაოდენობრივ ანალიზს; მისი მიზანია არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, მექანიზმების სისტემური ახსნა. მეორე: პლატფორმული ალგორითმების ზუსტი ეფექტის გაზომვა შეზღუდულია, რადგან კომერციული პლატფორმები სრულ გამჭვირვალობას არ უზრუნველყოფენ. მესამე: ინფორმაციული ოპერაციები დინამიკურია; ამდენად, შედეგები უნდა იქნეს წაკითხული, როგორც მოდელი/ტიპოლოგია და არა როგორც ერთჯერადი ეპიზოდების ამომწურავი აღწერა.

3.1. კვლევის ეთიკური და ტერმინოლოგიური სიზუსტე

სტატია მიზანმიმართულად გაურბის დრამატიზებულ ენობრივ ფორმულებსა და ჰიპერბოლურ მტკიცებებს, რომელთა დასაბუთება რთულია. ამ მიდგომის მიზანია, მკითხველმა მკაფიოდ დაინახოს განსხვავება ფაქტობრივ მტკიცებასა და ინტერპრეტაციულ ანალიტიკას შორის. ამავე მიზეზით, იქ სადაც მოყვანილია მაგალითები, ისინი

წარმოდგენილია, როგორც ილუსტრაცია მექანიზმისა და არა როგორც სამართლებრივი ან ჟურნალისტური „საბოლოო ვერდიქტი“.

4. მიგნებები და ანალიზი: მექანიზმები ოთხ დონეზე

ამ თავში წარმოდგენილია კვლევის ძირითადი მიგნებები. მექანიზმები გაანალიზებულია ოთხ დონეზე და თითოეულ დონეზე ნაჩვენებია, როგორც რუსეთ-უკრაინის ომში, ასევე საქართველოს საინფორმაციო გარემოში გამოვლენილი ტიპური ფორმები. მთავარი არგუმენტი ასეთია: ეფექტი მიიღწევა მექანიზმების კომბინაციით, „შინაარსი“ (ტექსტი/ვიზუალი) მუშაობს „განმარტებით ჩარჩოზე“ (ნარატივი) და ამ ყველაფერს მასშტაბს აძლევს „ინფრასტრუქტურა“ (პლატფორმა).

4.1. ტექსტური და ლინგვისტური მანიპულაცია

ტექსტური დონე მოიცავს ისეთ ტექნიკებს, რომლებიც ფაქტობრივი სიზუსტის შეცვლით ან კონტექსტის მანიპულაციით, ქმნის სასურველ შეფასებებს. აქ არ არის აუცილებელი სრულად „ყალბი“ ინფორმაცია, საკმარისია შერჩევითი ფაქტები, ფრაგმენტული ციტატები ან ტერმინოლოგიური გადანაცვლება.

რუსეთ-უკრაინის ომში, ფართოდ გამოიყენება ლექსიკური და იურიდიული ჩარჩოების გადაკეთება: სამხედრო აგრესია შეიძლება სახელდებოდეს, როგორც „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“, ოკუპაცია, როგორც „დაცვის ზონა“, ხოლო მსხვერპლი მოსახლეობა, როგორც „ცოცხალი ფარი“. ასეთი ენობრივი ტრანსფორმაცია, ამცირებს პასუხისმგებლობის აღქმას და ქმნის მორალურ „ნეიტრალიტეტს“ იქ, სადაც რეალურად ძალადობრივი ქმედებაა.

საქართველოს შემთხვევაში, ტექსტური მანიპულაცია, ხშირად მუშაობს გრძელვადიან პოლიტიკურ თემებზე: დასავლური ინტეგრაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც „სუვერენიტეტის დაკარგვა“, დემოკრატიული რეფორმები, როგორც „გარე დირექტივა“, ხოლო უსაფრთხოების დისკურსი, როგორც „პრაგმატული ნეიტრალიტეტი“. ამ ტექნიკის

ეფექტი დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სუსტია ინსტიტუციური კომუნიკაცია და რამდენად პოლარიზებულია მედია გარემო.

ტექსტურ დონეზე განსაკუთრებულ როლს თამაშობს „მიზეზ-შედეგობრივი ცვლილება“. მაგალითად, ომის მიზეზი გადატანილია მოწინააღმდეგის მოქმედებაზე („ისინი დაგვესხნენ“), ხოლო რეაგირება წარმოჩენილია, როგორც იძულებითი ნაბიჯი. აღნიშნული ტექნიკა პირდაპირ უკავშირდება ნარატიულ დონეს, რადგან ქმნის წინასწარ გამზადებულ განმარტებით სქემას (Entman, 1993).

4.1.1. ევფემიზაცია, იურიდიული ჩარჩოები და პასუხისმგებლობის განზავება

ევფემიზაცია ამცირებს მოვლენების ძალადობრივ აღქმას და ამასთან, აუდიტორიას სთავაზობს „სწორი ტერმინების“ გამოყენების ნორმას. როდესაც მედია გარემოში დომინირებს ევფემიზებული ლექსიკა, მნიშვნელოვნად რთულდება კონფლიქტის რეალური ხასიათის აღქმა, რადგან ენა ხდება პოლიტიკური ჩარჩოების ძირითადი მატარებელი.

ამგვარი ლინგვისტური პრაქტიკა, ასევე ქმნის პასუხისმგებლობის განზავებას: მოქმედი სუბიექტი ქრება აქტიური ზმნებიდან, ჩნდება არაპიროვნული კონსტრუქციები („მოხდა“, „გამწვავდა“), რაც ამცირებს აგრესორის აღქმას. ლიტერატურაში ეს ეფექტი დაკავშირებულია ჩარჩოების თეორიასთან და განმარტავს, რატომ არის ტერმინოლოგიური დისციპლინა, სტრატეგიული კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი ნაწილი.

4.2. ვიზუალური მანიპულაცია და სინთეზური მედია

ვიზუალური კონტენტი: ფოტო, ვიდეო, ინფოგრაფიკა, ხშირად უფრო სწრაფად აღიქმება, ვიდრე ტექსტი და მაღალი ემოციური ზემოქმედება აქვს. ამიტომ ვიზუალური მანიპულაცია ჰიბრიდულ კონფლიქტში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ვიზუალური დონე მოიცავს, როგორც კლასიკურ გაყალბებას (მონტაჟი, კონტექსტის შეცვლა), ასევე სინთეზურ მედიას (დიფფეიკები, გენერირებული გამოსახულებები).

რუსეთ-უკრაინის ომში, ვიზუალური მანიპულაციის ტიპური ფორმებია: (ა) სხვა კონფლიქტებიდან გადმოტანილი ვიდეომასალის „რებრენდინგი“; (ბ) ფაქტობრივი კადრების კონტექსტის შეცვლა (სხვა თარიღი/ადგილი); (გ) ემოციური სიმბოლოების გამოყენება მსხვერპლის სტატუსის გადასანაწილებლად. ვიზუალური კონტენტი ხშირად მუშაობს ტექსტურ კაპშენებთან ერთად: ერთი წინადადება ვიდეოს მნიშვნელობას სრულად ცვლის.

საქართველოს შემთხვევაშიც ვიზუალური მანიპულაცია, ხშირად ეფუძნება კონტექსტის შეცვლას: სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტო შეიძლება მიეწეროს კონკრეტულ პოლიტიკურ მოვლენას, თუმცა რეალურად სხვა დროსა და გარემოში იყოს გადაღებული. ამგვარი პრაქტიკა განსაკუთრებით ეფექტიანია მაღალი პოლარიზაციის პირობებში, რადგან აუდიტორია ხშირად „ამოწმებს“ არა ფაქტს, არამედ საკუთარ პოლიტიკურ პოზიციას.

სინთეზური მედიის ზრდა დამატებით სირთულეებს ქმნის. დიფფეიკები არა მხოლოდ ცრუ ინფორმაციის შექმნას ემსახურება, არამედ „ზოგადი ეჭვის“ დამკვიდრებასაც: როდესაც აუდიტორია იწყებს კითხვას, „ვიდეო ხომ არ არის გაყალბებული?“ ეს ხელს უწყობს პასუხისმგებლობის გაქრობას რეალური მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაშიც (Chesney & Citron, 2019).

4.2.1. ვიზუალური მანიპულაციის ამოცნობის ინსტიტუციური მექანიზმები

ვიზუალური მანიპულაციის წინააღმდეგ ეფექტიანი ინსტრუმენტებია სწრაფი ვალიდაცია და ტრანსპარენტული ფაქტჩეკინგ პროცედურები. თუმცა მხოლოდ „დაბუნკინგი“ (debunking) ხშირად გვიან არის: მანიპულაციურმა ვიდეომ შეიძლება მილიონობით ნახვას მიაღწიოს, სანამ გადამოწმება გავრცელდება. ამიტომ, ლიტერატურა სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს პრევენციულ მიდგომას, პრებანკინგს/ინოკულაციას, რომელიც აუდიტორიას წინასწარ აცნობს გავრცელებულ მანიპულაციურ ტექნიკებს (Lewandowsky et al., 2020).

4.3. ნარატიული ჩარჩოები და სტრატეგიული სიუჟეტები

ნარატიული დონე არის ის ადგილი, სადაც ცალკეული ტექსტები და ვიზუალები ერთიანდება განმარტებით სტრუქტურაში. სტრატეგიული ნარატივები ქმნის „სიუჟეტებს“, რომლებიც განმარტავს კონფლიქტის მიზეზს, სუბიექტებსა და მიზნებს, და ამით აყალიბებს მოქმედების ლეგიტიმურობას (Miskimmon et al., 2013).

რუსეთ-უკრაინის ომში ნარატივების ყველაზე რეციდიული ტიპებია: (ა) დელეგიტიმაცია, უკრაინის სახელმწიფოებრიობის უარყოფა ან „ხელოვნურ სახელმწიფოდ“ წარმოჩენა; (ბ) დემონიზაცია, „ნაცისტური“ ან „ტერორისტული“ იარლიყებით ოპონენტის მორალური დისკრედიტაცია; (გ) მსხვერპლის გადაბრალება, ომის პასუხისმგებლობის გადატანა უკრაინასა და დასავლეთზე; (დ) დასავლეთის წინააღმდეგობის ნარატივი, რომ მხარდაჭერა არის „გეოპოლიტიკური თამაში“ და არა სოლიდარობა.

საქართველოს შემთხვევაში ნარატიული დონე უფრო მეტად გრძელვადიანია და ორი მიმართულებით მუშაობს: პირველი: ევროატლანტიკური ინტეგრაციის დისკრედიტაცია („დასავლეთი ტრადიციებს ანგრევს“, „ეროვნულ იდენტობას გვართმევს“); მეორე: უსაფრთხოების შიში და ფატალიზმი („ყველაფერი მაინც დიდ ძალებზეა დამოკიდებული“), რაც ამცირებს მოქალაქეთა პოლიტიკურ სიმყარეს.

ამ ნარატივების საერთო მახასიათებელია, რომ ისინი არა მხოლოდ ინფორმაციას გადასცემს, არამედ აუდიტორიას აძლევს ემოციურ პოზიციას, შიშს, სიბრაზეს, ცინიზმს ან „გადაღლას“. სწორედ ემოციური ეკონომიკა ქმნის მდგრადობას: ფაქტობრივი კორექცია ხშირად ვერ შლის ნარატივით შექმნილ იდენტობით ჩარჩოს.

4.3.1. „ნარატივის ლაუნდერინგი“: მარგინალური გზავნილიდან „ჩვეულებრივ აზრამდე“

მნიშვნელოვანი მექანიზმია ნარატივის ე.წ. ლაუნდერინგი, როდესაც თავდაპირველად მარგინალური, უხეშად პროპაგანდისტული გზავნილი ეტაპობრივად გადადის უფრო „ნეიტრალურ“ არხებში და ხდება ყოველდღიური პოლიტიკური ლექსიკონის ნაწილი. ეს

პროცესი შეიძლება მიმდინარეობდეს ასე: (1) პირველადი პროპაგანდისტული წყარო; (2) კონტენტის გადაღება ან რედაქტირება „ალტერნატიულ“ მედია-გვერდზე; (3) ციტირება/გადმოტანა გავლენიან კომენტატორთან; (4) საბოლოოდ, გზავნილის გამეორება, როგორც „ერთი შეხედულება“ პოლიტიკურ დებატებში. ასეთი ტრაექტორია ამცირებს გზავნილის წარმომავლობის მნიშვნელობას და ზრდის მის ლეგიტიმაციას.

ლაუნდერინგის წინააღმდეგ, მხოლოდ ფაქტობრივი გადამოწმება საკმარისი არ არის; საჭიროა წყაროს ქსელების გაანალიზება და ტრანსპარენტული მითითება, როგორ „მოგზაურობს“ კონკრეტული გზავნილი ეკოსისტემაში.

4.4. პლატფორმული ამპლიფიკაცია და კოორდინირებული არაავთენტური ქცევა

პლატფორმული დონე განსაზღვრავს, როგორ ხდება გზავნილის მასშტაბირება. სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელება, ხშირად არ არის მხოლოდ ორგანული: კოორდინირებული არაავთენტური ქცევა, რომელიც ქმნის პოპულარობის ილუზიას და აჩქარებს ალგორითმულ ამპლიფიკაციას (Starbird, 2017).

რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, ეს შეიძლება გამოვლინდეს ტროლ-ქსელებით, ერთნაირი მესიჯბოქსის სინქრონული გავრცელებით, ბოტური ანგარიშებით და ე.წ. „მედია-კლონებით“, რომლებიც პოპულარული მედიასაშუალებების სტილს ბაძავს. ამგვარი ინფრასტრუქტურა მჭიდროდ უკავშირდება „firehose of falsehood“ ლოგიკას: რაც უფრო მაღალია მოცულობა და სიხშირე, მით უფრო იზრდება გზავნილის „გადაუმოწმებლად მიღების“ ალბათობა (Paul & Matthews, 2016).

საქართველოს შემთხვევაში პლატფორმული ამპლიფიკაცია ხშირად მუშაობს, როგორც გრძელვადიანი პოლარიზაციის გამაძლიერებელი. კონტენტი, რომელიც აუდიტორიას უკვე არსებული დაყოფების მიხედვით აწყობს („ჩვენ“ vs „ისინი“), კომენტარებსა და გაზიარებებს ზრდის, რაც პლატფორმის ალგორითმებს სტიმულს აძლევს, მისი გავრცელებისთვის. ამიტომ, ოპერაციის წარმატება შეიძლება მომდინარეობდეს არა მხოლოდ გარე აქტორიდან, არამედ შიდა პოლარიზებული გარემოს ალგორითმულ-ეკონომიკური თვისებებიდანაც.

პლატფორმული დონე განსაკუთრებულ გამოწვევას ქმნის პოლიტიკისთვის: კონტენტის რეგულირება ადვილად გადაიქცევა ცენზურის საფრთხედ, ხოლო რეგულირების არქონა, მანიპულაციის გახანგრძლივებად. ამ დილემის გადაჭრის პრაქტიკული გზა ხშირად არის პროცედურული გამჭვირვალობა: პლატფორმებმა უნდა უზრუნველყონ პოლიტიკური რეკლამის არქივები, ქსელური კოორდინაციის გამოვლენის მექანიზმები და ანგარიშგება, როდესაც ხდება კოორდინირებული მანიპულაციის წაშლა.

4.5. მექანიზმების ჯაჭვი: როგორ ერთიანდება ოთხი დონე

ოთხივე დონე ერთიანდება პროცესულ ჯაჭვში. ტიპური სცენარი შეიძლება აღწერილ იქნას შემდეგნაირად: პირველ რიგში იქმნება ნარატივი (მაგ., „მოწინააღმდეგე საფრთხეა“); შემდეგ ნარატივს მიებმება ტექსტური მტკიცებები და ვიზუალური ილუსტრაციები (ფოტო/ვიდეო/სქრინშოთი); ამის შემდეგ კონტენტი მასშტაბდება პლატფორმებზე კოორდინირებული გაზიარებით; და ბოლოს, გზავნილი გადადის „ჩვეულებრივ“ დებატში, როგორც ერთი „შესაძლო ინტერპრეტაცია“. ამ ეტაპზე დეზინფორმაცია აღარ არის მხოლოდ კონტენტი, იგი ხდება დისკურსის ნაწილი.

უკრაინის შემთხვევაში ამ ჯაჭვს ხშირად თან ახლავს მიზანი, რომ შემცირდეს საერთაშორისო მხარდაჭერა, გაძლიერდეს სკეპტიციზმი სანქციებისა და დახმარების მიმართ და მოიმატოს „კომპრომისის“ მოთხოვნა. საქართველოში კი მსგავსი მექანიზმები ხშირად უკავშირდება ნდობის კრიზისს ინსტიტუტების მიმართ და დასავლური ინტეგრაციისადმი სკეპტიციზმის ზრდას. განსხვავება არა იმდენად ტექნიკაშია, რამდენადაც, მიზნობრივ პოლიტიკურ შედეგში.

4.6. შემთხვევების გაღრმავება: რუსეთ-უკრაინის ომი

ამ ქვეთავში უკრაინის შემთხვევა განხილულია, როგორც ინფორმაციული ოპერაციების „სრულმასშტაბიანი ლაბორატორია“, სადაც მექანიზმები აქტიურ საბრძოლო მოქმედებებს ებმის და შედეგები სწრაფად აისახება საერთაშორისო პოლიტიკაზე.

ნარატიული ბირთვი ძირითადად ტრიალებს სამ კვანძზე. პირველი კვანძია ლეგიტიმაციის კრიზისი: უკრაინის პოლიტიკური სისტემა წარმოჩინდება, როგორც „გარე მართვადი“ ან „არალეგიტიმური“. მეორე კვანძი უკავშირდება უსაფრთხოებას: დასავლეთის მხარდაჭერა განსაზღვრულია როგორც „ესკალაციის“ მიზეზი, რაც აუდიტორიას უბიძგებს „ნეიტრალიტეტის“ ან „დამშვიდების“ პოლიტიკისკენ. მესამე კვანძია მორალური დემონიზაცია: ოპონენტი აღწერილია უკიდურესი იარლიყებით, რაც ამცირებს ჰუმანიტარულ სოლიდარობას.

ტექსტურ დონეზე ხშირია ე.წ. „ფაქტების ფრაგმენტაცია“: რეალური მოვლენიდან ერთი ფრაგმენტი აირჩევა და მისი განზოგადება ხდება, როგორც საერთო სურათი. მაგალითად, ინდივიდუალური ექსტრემისტული სიმბოლოს არსებობა, შეიძლება განზოგადდეს სახელმწიფოს ან საზოგადოების „ნაცისტურ“ ხასიათზე. ასეთი ოპერაცია მუშაობს იმიტომ, რომ აუდიტორიას სთავაზობს მარტივ კატეგორიას და ამცირებს სირთულის აღქმის საჭიროებას.

ვიზუალური დონე უკრაინის შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ვიდეო-მტკიცებულებები გახდა საერთაშორისო მედიისა და სოციალური ქსელების ძირითადი „კოზირი“. კონტექსტის შეცვლით გავრცელებული ვიდეოკადრები ქმნის მყისიერ ემოციურ ეფექტს და შემდეგ ტექსტური კორექცია, ხშირად დაგვიანებულია. ამასთან, სინთეზური მედიის ზრდა ქმნის „ლაიარ დივიდენდს“ (liar’s dividend): რეალური მასალის დამნაშავე მხარე შეიძლება ცდილობდეს მისი სანდოობის დაკნინებას მხოლოდ იმის თქმით, რომ „ყველაფერი შეიძლება დიფფეიკი იყოს“ (Chesney & Citron, 2019).

პლატფორმულ დონეზე უკრაინის კონფლიქტმა ნათლად აჩვენა, რომ შეტევა ხშირად არ არის ერთპლატფორმიანი: კონტენტი მოძრაობს ტელეგრამიდან ფეისბუქზე, იქიდან ტიკტოკზე, შემდეგ კი „ალტერნატიულ“ ვებგვერდებზე, სადაც ის უკვე „საინფორმაციო წყაროდ“ არის შეფუთული. ამგვარი მიგრაცია ართულებს რეგულირებას, რადგან თითოეულ პლატფორმას განსხვავებული წესები და მოდერაციის შესაძლებლობები აქვს.

ამ შემთხვევის ანალიტიკური დასკვნა ასეთია: უკრაინის მიმართ ოპერაციები ხშირად ემსახურება არა მხოლოდ უკრაინული აუდიტორიის დარწმუნებას, არამედ მესამე აუდიტორიის, პარტნიორებისა და ნეიტრალური ქვეყნების — დამოკიდებულების ფორმირებას. ამიტომ, მექანიზმები მიზანმიმართულად ირჩევს თემებს, რომლებიც განსაკუთრებით მგრძნობიარეა დასავლურ საზოგადოებებში: კორუფცია, „ომის გაჭიანურება“, მიგრაცია, ენერგეტიკა და ეკონომიკური პრობლემები.

4.6.1. „ყველაფერი ხომ არ არის დეზინფორმაცია?“ — ანალიტიკური გამიჯვნის კრიტერიუმები

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისმება კითხვა: როგორ განვასხვავოთ დეზინფორმაცია ლეგიტიმური კრიტიკისგან? ამ სტატიაში გამოყენებულია სამი გამიჯვნის კრიტერიუმი. პირველი კრიტერიუმია ფალსიფიცირებადობა: თუ მტკიცება ეხება შემოწმებად ფაქტს (თარიღი, ადგილი, დოკუმენტი) და იგი სისტემურად არ დასტურდება, მაშინ ის დეზინფორმაციის კანდიდატია. მეორე კრიტერიუმია კონტექსტი: რეალური ფაქტის გამოყენება ისე, რომ მისი მნიშვნელობა შეიცვალოს (მაგ., მიზეზშედეგობრივი დევალვაცია), ქმნის მანიპულაციურ ჩარჩოს, მიუხედავად იმისა, რომ „ფაქტი“ შეიძლება მართალია. მესამე კრიტერიუმია გავრცელების ნიმუში: კოორდინირებული, სინქრონული გავრცელება სხვადასხვა ანგარიშზე, ერთნაირი ფრაზებით ან ერთნაირი ვიზუალით, რაც მიანიშნებს არა სპონტანურ დებატებზე, არამედ სისტემურ და ოპერაციულ ქცევაზე.

ამ კრიტერიუმებით, შესაძლებელია ერთსა და იმავე თემაზე არსებობდეს, როგორც ლეგიტიმური დისკუსია, ასევე მანიპულაციური ოპერაცია. ანალიზის მიზანია არა დებატის „დახურვა“, არამედ ოპერაციული ნიშნების გამოვლენა.

4.7. შემთხვევების გაღრმავება: საქართველო (2008–დღემდე)

საქართველოს კონტექსტში ინფორმაციული ზემოქმედება ნაკლებად ებმის ყოველდღიურ საბრძოლო მოქმედებებს, თუმცა, უფრო მეტად მუშაობს ინსტიტუციურ ნდობაზე, საგარეო ორიენტაციასა და საზოგადოებრივი ერთიანობის საკითხებზე. ამიტომ ოპერაციების

ეფექტი, ხშირად არის დაგროვებითი: მცირე მანიპულაციები დროთა განმავლობაში ქმნის ნდობის ეროზიას და საზოგადოებრივი კონსენსუსის დაშლას.

ნარატიული ბირთვი საქართველოში, ხშირად ჩამოყალიბებულია „ცივილიზაციური არჩევანის“ ხაზზე. ერთი სიუჟეტი ცდილობს დასავლური ინტეგრაციის დაკავშირებას ღირებულებით საფრთხეებთან (იდენტობა, ტრადიცია, სარწმუნოება), ხოლო მეორე სიუჟეტი, ხაზს უსვამს უსაფრთხოების რისკს („კონფრონტაცია გარდაუვალია“, „დიდი ძალები გვიყენებენ ინსტრუმენტად“). ამგვარი დისკურსი აუდიტორიას უბიძგებს, პოლიტიკური პასიურობისკენ და „შიშზე დაფუძნებულ პრაგმატიზმისკენ“.

ტექსტურ დონეზე ხშირია ე.წ. „სელექტიური ციტირება“: საერთაშორისო დოკუმენტებიდან ან უცხოური ლიდერების განცხადებებიდან ამოღებული ფრაზები მოჭრილია კონტექსტიდან ისე, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს კონკრეტული ქვეყანა ან ინსტიტუტი „აღიარებს“ რაიმე წინასწარ სასურველ თეზას. ეს ტექნიკა განსაკუთრებით ეფექტიანია, რადგან ებმის ავტორიტეტის ჰალოს (authority halo) და აუდიტორიას ნაკლებად უჩნდება მოთხოვნა, სრული ტექსტი გადაამოწმოს.

ვიზუალური დონე საქართველოში, ხშირად უკავშირდება „შოკ-კონტენტს“ — შემზარავ ფოტოებს, რომელიც აჩენს მორალურ პანიკას, რაც შემდეგ პოლიტიკურ განზოგადებაში გადადის. თუმცა, სწორედ აქ არის კრიტიკული რისკი: თუ ვიზუალური კონტენტი არ არის შემოწმებადი ან კონტექსტუალურად არასწორია, ის სწრაფად პოლარიზებულ დებატებში იკარგება და აძლიერებს უნდობლობას ყველა წყაროს მიმართ.

პლატფორმულ დონეზე, საქართველოს საინფორმაციო სივრცე განსაკუთრებით მგრძნობიარეა მცირე ბაზრის ეფექტის გამო: რამდენიმე დიდი პლატფორმის და რამდენიმე გავლენიანი გვერდის/ჯგუფის დომინაცია ნიშნავს, რომ კოორდინირებული აქტივობა უფრო ადვილად ქმნის „საზოგადოებრივი ტალღის“ ილუზიას. ამასთან, ალგორითმული ამპლიფიკაცია აჯილდოებს კონფლიქტურ კონტენტს, რაც პოლარიზაციის ზრდას უწყობს ხელს (Gillespie, 2018).

4.7.1. საქართველოს შემთხვევის სპეციფიკა: ნარატივების ხანგრძლივობა და ინსტიტუციური კომუნიკაცია

საქართველოს მაგალითზე, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია დროითი განზომილება: ბევრი ნარატივი არ არის ერთჯერადი „პიკის“ პროდუქტი; იგი ბრუნდება სხვადასხვა კრიზისის დროს და ახალ შინაარსს იკრებს. ამიტომ, წინააღმდეგობის პოლიტიკა ვერ იქნება მხოლოდ კამპანიური; საჭიროა ინსტიტუციური, გრძელვადიანი კომუნიკაცია, რომელიც მოქალაქეებს სთავაზობს ფაქტებზე დაფუძნებულ განმარტებებს და ამცირებს ინფორმაციულ ვაკუუმს.

ამავე დროს, სტრატეგიული კომუნიკაცია ეფექტიანი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არ არის პარტიული პროპაგანდა. როდესაც სახელმწიფო კომუნიკაცია აღიქმება, როგორც პარტიული და აუდიტორია კიდევ უფრო მეტად გადადის ალტერნატიულ წყაროებზე, რომელთა ნაწილი, შეიძლება მანიპულაციური იყოს. ამიტომ ინსტიტუციური ნდობის გაძლიერება დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის წინაპირობაა.

5. დისკუსია: თეორიული შედეგები და პრაქტიკული იმპლიკაციები

ამ კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაციული ოპერაციების ანალიზი ეფექტიანია მაშინ, როდესაც იგი არ ჩერდება კონტენტის აღწერაზე და გადადის მექანიზმების ლოგიკაზე. ოთხდონიანი ჩარჩო საშუალებას იძლევა, შევათანხმოთ ორი ხშირად განცალკევებული პერსპექტივა: ნარატივების პოლიტიკური ფუნქცია და პლატფორმების ტექნოლოგიური დინამიკა.

თეორიულად, მიღებული შედეგები მხარს უჭერს იმ ხედვას, რომ დეზინფორმაცია არის „პროცესი“, რომელშიც სწორედ გავრცელების არქიტექტურა და გამეორების სიჩქარე განსაზღვრავს ზემოქმედების მასშტაბს (Paul & Matthews, 2016). ამასთან, ნარატივების კვლევა გვახსენებს, რომ კონტენტი ეფექტიანი ხდება მაშინ, როდესაც ებმის აუდიტორიის იდენტობასა და საკუთარი სამყაროს აღქმის სტაბილურ სქემებს (Miskimmon et al., 2013).

შედარებითი ანალიზი უკრაინასა და საქართველოს შორის აჩვენებს, რომ მექანიზმები ხშირად ერთნაირია, მაგრამ შედეგები განსხვავდება პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით.

უკრაინის შემთხვევაში მაღალი ინტენსივობის ომი ქმნის „სწრაფ ციკლებს“: გზავნილები შეიძლება იმავე კვირაში აისახოს საერთაშორისო მხარდაჭერის დისკუსიაზე. საქართველოში კი ოპერაციების მიზანი ხშირად არის ნელა დაგროვებადი ეფექტი კი პოლიტიკური.

ამ სტატიის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთიანად აერთიანებს ტექსტურ, ვიზუალურ, ნარატიულ და პლატფორმულ დონეებს და ამით აჩვენებს „მექანიზმების ჯაჭვს“. დამატებით, საქართველოს შემთხვევის ჩართვა უკრაინის პარალელურად, გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე ოპერაციული ლოგიკა, სხვადასხვა პოლიტიკურ მიზანზე.

დეზინფორმაციის წინააღმდეგ პოლიტიკა, პრაქტიკულად უნდა იყოს მრავალდონიანი და არ უნდა იქნას იგი დაიყვანილი მხოლოდ ფაქტჩეკინგზე. ფაქტჩეკინგი აუცილებელია, მაგრამ იგი რეაქტიული ინსტრუმენტია. კვლევითი დისკურსი სულ უფრო მეტად უსვამს ხაზს, პრევენციას (ინოკულაცია/პრებანკინგი) და ინსტიტუციურ კომუნიკაციას (Lewandowsky et al., 2020; Roozenbeek & van der Linden, 2019).

5.1. მედეგობის პოლიტიკა: ოთხდონიანი რეკომენდაციები

ტექსტურ დონეზე რეკომენდაციაა ტერმინოლოგიური დისციპლინა და სწრაფი კონტექსტუალიზაცია. პოლიტიკის დოკუმენტებმა და ოფიციალურმა კომუნიკაციამ უნდა გამოიყენოს მკაფიო სახელდება (აგრესია, ოკუპაცია, სამხედრო დანაშაული), რათა ევფემიზაცია არ გადაიქცეს ნორმად. ამასთან, საჭიროა კონტექსტის სწრაფი მიწოდება: ერთი ფრაზის კორექცია ნაკლებად ეფექტიანია, ვიდრე მიზეზშედეგობრივი განმარტება, რომელიც აუდიტორიას აძლევს ინტერპრეტაციულ ჩარჩოს.

ვიზუალურ დონეზე რეკომენდაციაა, რომ მედია-ვალიდაციის კულტურის განვითარება, შესაბამის უწყებებს და სანდო მედიას უნდა ჰქონდეთ, მათ შორის, შესაბამისი საჯარო პროტოკოლები, თუ როგორ ამოწმებენ ფოტო/ვიდეო მასალას (მეტამონაცემები, გეოლოკაცია, კადრების შედარება). ეს ზრდის ნდობას არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის, არამედ მთლიანად შემოწმების პროცესის მიმართ.

ნარატიულ დონეზე რეკომენდაციაა, რომ არსებობდეს სტრატეგიული კომუნიკაციის პროაქტიული მოდელი. თუ ოპერაცია მუშაობს გრძელვადიან სიუჟეტებზე, წინააღმდეგობა ვერ იქნება მხოლოდ „დღის პასუხი“. საჭიროა რამდენიმე ძირითადი კონტრნარატივის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებულია ღირებულებებსა და ფაქტებზე ერთდროულად: მაგ., უსაფრთხოება, კეთილდღეობა, სუვერენიტეტი. კონტრნარატივი უნდა იყოს არა უარყოფითი (მხოლოდ „ეს ტყუილია“), არამედ პოზიტიურად განმარტებითი (რატომ არის კონკრეტული პოლიტიკა სარგებლის მომტანი).

პლატფორმულ დონეზე რეკომენდაციაა, რომ გამჭვირვალობა და ანგარიშგება. კოორდინირებული, არაავთენტური ქცევის წინააღმდეგ, ეფექტიანი ინსტრუმენტია პლატფორმების მიერ ქსელური აქტივობის გამოვლენაში და აუცილებელია საჯარო ანგარიშგება, თუ რა ტიპის ქსელები იშლება კონკრეტული მიმართულებით და რატომ. ამასთან, საჭიროა სამოქალაქო სექტორისა და აკადემიური წრეების წვდომა ანონიმიზებულ მონაცემებზე, რათა შეფასდეს, თუ როგორ მუშაობს რეკომენდაციის სისტემები და რა პირობებში ძლიერდება მანიპულაცია.

5.2. კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევა ეფუძნება მეორეულ მონაცემებს და არ წარმოადგენს პირველადი ქსელური მონაცემების რაოდენობრივ ანალიზს. სამომავლო კვლევისთვის პერსპექტიულია ორი მიმართულება. პირველი: პლატფორმული მონაცემების საფუძველზე ქსელური კოორდინაციის უფრო ზუსტი აღწერა და მოდელირება (რომელი ანგარიშები ფუნქციონირებს, როგორც „ჰაბი“, რა არის გავრცელების სიჩქარე და როგორ იცვლება ის კრიზისის ფაზების მიხედვით). მეორე: აუდიტორიის კვლევა; როგორ იცვლება ნარატივების მიღება ასაკის, განათლების, მედია მოხმარების და პოლიტიკური იდენტობის მიხედვით. ეს ორი მიმართულება გააძლიერებს როგორც თეორიულ, ასევე პოლიტიკურ რეკომენდაციებს.

6. დასკვნები

სტატიამ აჩვენა, რომ ჰიბრიდულ კონფლიქტებში დეზინფორმაცია უნდა განვიხილოთ არა როგორც იზოლირებული „ფეიკი“, არამედ, როგორც მექანიზმების თანმიმდევრული

სისტემა. ოთხდონიანი ჩარჩო (ტექსტი, ვიზუალი, ნარატივი, პლატფორმა) რომელიც წარმოაჩენს, თუ როგორ გადადის გზავნილი შექმნიდან, მასშტაბირებასა და შემდეგ, დისკურსის ნორმალიზაციამდე.

რუსეთ-უკრაინის ომის შემთხვევაში, ინფორმაციული ოპერაციების მიზანი ხშირად არის საერთაშორისო აუდიტორიების დამოკიდებულების შეცვლა, სკეპტიციზმის გაზრდა და მხარდაჭერის „დაღლის“ პროვოცირება. საქართველოს შემთხვევაში იგივე ოპერაციული ლოგიკა, უფრო მეტად მუშაობს გრძელვადიანად: პოლარიზაციის გამყარება, ინსტიტუციური ნდობის ეროზია და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დისკრედიტაცია.

მიღებული დასკვნები მიუთითებს, რომ ეფექტიანი წინააღმდეგობა საჭიროებს პრევენციულ და ინსტიტუციურ პოლიტიკას: მედია-ვალიდაციის კულტურის განვითარებას, პრებანკინგს/ინოკულაციას, სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესებას და პლატფორმების გამჭვირვალობის ზრდას. საბოლოოდ, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, არის დემოკრატიული მედეგობის ნაწილი და მისი წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ ტექნიკურ ინსტრუმენტებზე, არამედ ინსტიტუციურ ნდობასა და საზოგადოებრივი კონსენსუსის ხარისხზე.

ბიბლიოგრაფია

1. Bennett, W. L., & Livingston, S. (2018). The disinformation order: Disruptive communication and the decline of democratic institutions. *European Journal of Communication*, *33*(2), 122–139. https://doi.org/10.1177/0267323118760317
2. Chesney, R., & Citron, D. (2019). Deep fakes: A looming challenge for privacy, democracy, and national security. *California Law Review*, *107*(6), 1753–1820.
3. Entman, R. M. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. *Journal of Communication*, *43*(4), 51–58. https://doi.org/10.1111/j.1460-2466.1993.tb01304.x
4. Gillespie, T. (2018). *Custodians of the Internet: Platforms, content moderation, and the hidden decisions that shape social media*. Yale University Press.
5. Lewandowsky, S., Cook, J., Ecker, U. K. H., Albarracín, D., Amazeen, M. A., Kendeou, P., ... & Zaragoza, M. S. (2020). *The Debunking Handbook 2020*. https://www.climatechangecommunication.org/debunking-handbook-2020/
6. Miskimmon, A., O'Loughlin, B., & Roselle, L. (2013). *Strategic narratives: Communication power and the new world order*. Routledge.
7. Paul, C., & Matthews, M. (2016). *The Russian "Firehose of Falsehood" Propaganda Model: Why It Might Work and Options to Counter It*. RAND Corporation.
8. Pomerantsev, P., & Weiss, M. (2014). *The menace of unreality: How the Kremlin weaponizes information, culture, and money*. The Institute of Modern Russia.
9. Roozenbeek, J., & van der Linden, S. (2019). Fake news game confers psychological resistance against online misinformation. *Palgrave Communications*, *5*(65). https://doi.org/10.1057/s41599-019-0279-9
10. Starbird, K. (2017). Examining the alternative media ecosystem through the production of alternative narratives of mass shooting events on Twitter. *Proceedings of the International AAAI Conference on Web and Social Media*, *11*(1), 230–239.
11. Wardle, C., & Derakhshan, H. (2017). *Information disorder: Toward an interdisciplinary framework for research and policy making*. Council of Europe.
12. Yablokov, I. (2015). Conspiracy theories as a Russian public diplomacy tool: The case of Russia Today (RT). *Politics*, *35*(3–4), 301–315. https://doi.org/10.1111/1467-9256.12097
13. Zuboff, S. (2019). *The age of surveillance capitalism: The fight for a human future at the new frontier of power*. PublicAffairs.